

ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის როლი სანარმოთა მართვის სისტემაში

DOI:10.36962/ECS105/5-7/2023-66

დეზდემონა მაღლაკელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

Dezdemona.maghlakelidze@atsu.edu.ge

ნათელა ვაშაკიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

Natela.vashakidze@atsu.edu.ge

დიანა უგლავა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მონვეული სპეციალისტი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

Diana.uglava@atsu.edu.ge

რეზიუმე

საქართველოში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისათვის დიდია ბუღალტრული აღრიცხვის, როგორც ბიზნესის ენის, როლი, რაც მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების თანხვედრას აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულ ნორმებთან და წესებთან. აღნიშნულის გამო ჩვენს ქვეყანაშიც შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ეროვნული მოდელი, რისთვისაც შემუშავდა და ამოქმედდა ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები, მენარმეთა კანონი და სხვა. სანარმოებში, როდესაც იზრდება სამეურნეო საქმიანობა, აუცილებელი ხდება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მოქმედი კანონმდებლობის დაცვისათვის შიდა კონტროლის სისტემის შექ-

მნა. იმისათვის, რომ საწარმოების მართვაში სრულყოფილად ჩაერთოს შიდა კონტროლის სისტემა, რომლის ძირითადი ელემენტიცაა შიდა აუდიტი უნდა მოხდეს მისი მიზნების რეალიზაცია, ცნობადობის ამაღლება, რომელიც აღნიშნული ნაშრომის მიზანია. შიდა აუდიტი - ეს საწარმოს შიდა კონტროლია, რომელიც საწარმოში ორგანიზებულია ცალკე სამსახურად და მათი ძირითადი ამოცანაა დახმარება აღმოუჩინოს აღრიცხვის მუშაკებს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის რაც შეიძლება მაღალკვალიფიციურად და ეფექტურად შესრულებაში. აღნიშნულის გამო შიდა აუდიტორების მოვალეობაა ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციის უტყუარობის შემოწმება და მათი სრულყოფისათვის რეკომენდაციების გაცემა, რითაც ისინი ხელს უწყობენ საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ხარისხის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება, შიდა კონტროლი, შიდა აუდიტი.

შესავალი

საქართველოში საბაზრო ურთერთობის ჩამოყალიბებამ აუცილებელი გახადა რეფორმების განხორციელება საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგების სფეროში, რომელიც აისახა ახალი ინფრასტრუქტურების ჩამოყალიბებით და ძველის მოდერნიზაციით. ახალ ინფრასტრუქტურას წარმოადგენს აუდიტორული საქმიანობა. ცნობილია რომ ნებისმიერი საქმიანობა მ.შ. ბიზნეს საქმიანობის მმართველობითი სისტემა მოითხოვს გარკვეულ ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რომლის ძირითადი წყაროა ბუღალტრული აღრიცხვა. ბუღალტრული აღრიცხვა ასრულებს მრავალფეროვან ფუნქციებს, რომლებიც პრინციპულად უკავშირდება საკუთრების ფორმებს. საწარმოს მესაკუთრები დაინტერესებულია ბიზნესის შედეგებით, რადგანაც მათმა ამ ბიზნესში თავიანთი კაპიტალი დააბანდეს და ელოდებიან სასურველ ფინანსურ შედეგებს. მათი მიზნის მისაღწევად საჭიროა ისინი აკონტროლებდნენ რამდენად კანონიერად მიმდინარეობს ბიზნესსაქმიანობა, რომლისთვისაც საწარმოში აუცილებელია შეიქმნას შიდა კონტროლის სისტემა.

ძირითადი ტექსტი

საწარმოს ხელმძღვანელობას წარმოექმნება ფინანსური ინფორმაციის მოთხოვნილება, რათა მიიღოს სწორი მმართველობითი გადაწყვეტილება შედეგების შეფასებისათვის. ისინი ვალდებული არიან ფინანსური ინფორმაცია წარუდგინონ დამფუძნებლებს, ინვესტორებს ვინც დააბანდა აღნიშნულ საწარმოში სახსრები. ანგარიშვალდებულება წარმოექმნებათ სახელმწიფოს წინაშე ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სწორად გაანგარიშებასა და დეკლარაციებში ასახვაზე, მათ თავისდროულ გადახდაზე. ამდენად, საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრებამ ბუღალტრულ აღრიცხვას დაუკარგა უბრალო ანგარიშწარმოების ფუნქციები და გარდაიქმნება ინსტრუმენტად, რომელთა საშუალებით ხდება ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და მიწოდება დაინტერესებულ პირებზე, რათა მათ შეძლონ საუკეთესო ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება.

რამდენადაც ბუღალტრული აღრიცხვა ბიზნესის ენაა, დღეისათვის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა შექმნას ქვეყანაში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და ფინანსური სახსრების გამოყენების შესაძლებლობები. „ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფის აუცილებლობა ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოსათვის, და ზოგადად გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის.“[1.გვ.41] სწორედ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ნორმებისა და წესების ჰარმონიზაცია არის საფუძველი რეგიონალური და საერთაშორისო კავშირების ეფექტური განვითარებისათვის. მაგრამ დასავლეთის ქვეყნების ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების შესახებ მკვლევართა ნაშრომებით დადგენილია, რომ არსებული მსგავსებისა ასევე არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებანი, რომელიც გარკვეულ შეფერხებებს და სირთულეებს უქმნის თავისუფალი კაპიტალის მიმოქცევას და თავად ინვესტორებს, რადგან მათ სხვადასხვა პირობებში აყენებს. განსხვავებები გამოწვეულია მრავალი ფაქტორებით,

როგორებიცაა: სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები, პოლიტიკური ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, განსხვავებანი კანონმდებლობაში, განათლების დონე და ა.შ. უფრო რომ დავაკონკრეტოთ სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები მაშინ მივალთ ამ თავისებურებათა გამომწვევ ისეთ ფაქტორებთან, როგორებიცაა: ქვეყნის ეკონომიკის მართვის ცენტრალიზაციის დონე, სანარმოთა სტრუქტურა, სიდიდე, წარმოების წესი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირება და მისი განვითარების დონე, ინფლაციის დონე და სხვა. ყოველივე ეს განაპირობებს, რომ ყველა ქვეყანას ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების საკუთარი მოდელი გააჩნია. კერძოდ აშშ, ინგლისში აღნიშნული საკითხები რეგულირდება ცალკე გამოცემული სტანდარტებით, გერმანია, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული კანონებით, ხოლო ზოგ ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ კანონით და მისი შესაბამისი დებულებებით. საბოლოოდ ამ თავისებურებებს აერთიანებს ის, რომ ისინი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ჩვენს ქვეყანაშიც საბაზრო ურთიერთობების განვითარებისათვის შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ეროვნული მოდელი, კერძოდ შემუშავდა და ამოქმედდა ბუღალტრული აღრიცხვის მარეგლამენტირებელი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები, მენარმეთა კანონი, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების შესახებ დებულება და სხვა დოკუმენტები.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული მოდელის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭიროა შემდეგი:

- სამეურნეო სუბიექტის მმართველობითი სისტემის მუშაკთა ცნობიერების ამაღლება შემდეგი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნები, ინფორმაციის მომხმარებლები და მათი მოთხოვნები, ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ადგილი მართვის სისტემაში და სხვა.

● ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის სისტემების გამიჯვნა, რადგან ცნობილია რომ პრაქტიკაში და თეორიაშიც ხშირად ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგია არის საფუძველი გადასახადების გაანგარიშების, მაშინ როდესაც საგადასახადო დაბეგვრა მთლიანად საგადასახადო კანონმდებლობებიდან უნდა გამომდინარეობდეს. აღნიშნული გამიჯვნით საფუძველი გამოეცლება სამეწარმეო საქმიანობის სანქცირებას ბუღალტრულ აღრიცხვის მეთოდოლოგიაში.

● სამეურნეო სუბიექტის ფინანსური შედეგების ფორმირების წესის ჩამოყალიბება, რომლის შესაბამისად გამოთვლილი მოგება/ზარალი უნდა იყოს მაჩვენებელი, რომელიც ასახავს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რეალურ შედეგს. იგი განხილული არ უნდა იყოს როგორც დაბეგვრის ობიექტი.

● ბუღალტრული აღრიცხვის და მისი ახალი ინფრასტრუქტურის აუდიტორული საქმიანობის სტაბილური და უწყვეტი განვითარება.

● აუდიტორული საქმიანობის შემდგომი განვითარება მოითხოვს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, აუდიტორთა ატესტაცია ლიცენზირების სისტემის სრულყოფას.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი ფუნქციების განხორციელება უშუალოდ დაკავშირებულია შიდა კონტროლის სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებასთან. შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე პირდაპირ არის დამოკიდებული ფინანსური ანგარიშგების სრულყოფილი შედეგა და წარდგენა.

დღეისათვის მენარმეთა გარკვეულ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს შეცნობილი შიდა აუდიტის მნიშვნელობა და მიაჩნიათ როგორც სახელმწიფო კონტროლი, რომელსაც სადამსჯელო ფუნქცია გააჩნია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საწარმოს ხელმძღვანელი თავისი სურვილით აუდიტს არ აირჩევს, რადგან იგი დაკავშირებულია ფინანსურ ხარჯებთან და მისი საქმიანობის კონტროლთან, რაც მათთვის მაინცდამაინც არ არის სასურველი. ასევე შეიძლება მენარმეების მიმართაც ავლნიშნოთ, რომ ზოგიერთი მათგანი არ ცდილობს მოაწესრიგოს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება და მშვიდად შეხვდეს ნებისმიერ

დროს საგადასახადო შემოწმებას. აღნიშნულის საპირისპიროდ ისინი ცდილობენ როგორმე დაფარონ საანგარიშგებო პერიოდის ნაკლოვანებები. სწორედ ამიტომ სახელმწიფოსაგან სწორი ნაბიჯია სამეურნეო სუბიექტთა უმრავლესობისათვის სავალდებულო აუდიტორული შემოწმების დანესება ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების წარდგენა-დამტკიცებისათვის. საწარმოებს ამის მიღწევა შეუძლიათ, როდესაც მათ აქვთ მონესრიგებული შიდა კონტროლის სისტემა. „ცნება „კონტროლი“ უშუალოდ უკავშირდება „მართვის“ ცნებას და წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, კონტროლი, როგორც მართვის დამოუკიდებელი ფუნქცია, მუდმივ კავშირშია მართვის სხვა ფუნქციებთან და აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მათ გამოყენებასა და ეფექტიან რეალიზაციაზე“.[2.გვ.7]

საწარმოებში, როდესაც იზრდება ბიზნესი, დაქირავებულ პერსონალს მესაკუთრები ანდობს ბიზნესის მართვას და სხვადასხვა რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას. ბიზნესის წარმატებული მართვისათვის ყველაზე კარგი საშუალებაა, როდესაც დაქირავებული პერსონალი გამოირჩევიან პატიოსნებითა და პროფესიული კომპეტენტურობით, რაც ხშირ შემთხვევებში შეუძლებელია. სწორედ ამიტომ დგება საკითხი ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შექმნის შესახებ. „შიდა კონტროლი არის - საწარმოს პოლიტიკისა და იმ პროცედურების ერთობლიობა, რომელთა მიზანია გარანტიების შექმნა საწარმოს წინაშე დასმული ამოცანების მისაღწევად.“[3. გვ.20] იმისათვის, რომ საწარმოების მართვაში სრულყოფილად ჩაერთოს შიდა კონტროლის სისტემა და მოხდეს მისი მიზნებისა და უპირატესობების რეალიზაცია, ამისათვის საჭიროა ცნობადობის ამაღლება შიდა კონტროლის თავისებურებების, მის ელემენტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ.

შიდა კონტროლის სისტემის შემადგენელი ძირითადი სტრუქტურული ელემენტებია:

1. კონტროლის გარემო, რომელიც მოიცავს მესაკუთრეების და მენეჯერების მიდგომებს და შეთანხმებულ ქმედებებს.
2. სააღრიცხვო სისტემა. რომელიც არის წესები, პრინციპები

და დაშვებები სრული და საიმედო ფინანსური ანგარიშგების დროულად მოსამზადებლად.

3. კონტროლის პროცესი მოიცავს პროცედურებს, რომელთა საშუალებით განისაზღვრება მომუშავეთა ინდივიდუალური უფლებები და პასუხისმგებლობა დოკუმენტების გაფორმებაზე და შესრულებაზე.

შიდა კონტროლის აღნიშნული ელემენტებით შესაძლებელია განხორციელდეს მისი მიზანი, რომელიც მრავალრიცხოვანი ფუნქციის შესრულებით მიიღწევა, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- საწარმოს ქონების დაცვა და ინფორმაციის კონფიდენციალობა;

- მიღებული ინფორმაციის საიმედოობა;

- შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის დაცვა;

- მოქმედი კანონმდებლობის დაცვა.

შიდა კონტროლის ერთ-ერთი ფუნქცია საწარმოს ქონების დაცვა და ინფორმაციის კონფიდენციალობა, რითაც შესაძლებელი ხდება საწარმოში თაღლითობის, ქურდობის, დატაცებებით გამოწვეული ზარალის და ზიანის შემცირება. იგი საშუალებას იძლევა უმოკლეს ვადაში გამოვლინდეს მმართველობითი გადანეწყვიტებების მიღებაში დაშვებული შეცდომების მიზეზები. მათი შესწავლის საფუძველზე გადაიდგას ახალი ნაბიჯები, რითაც, საბოლოოდ მინიმუმამდე დაიყვანება შეცდომებით გამოწვეული ზიანი. ეფექტური კონტროლის პირობებში გაცილებით მცირეა რესურსების მითვისებისა და განადგურების ალბათობა, ხოლო ადვილად მისაღწევია ნებისმიერ მომენტში სრული და საიმედო ინფორმაციის მიღება, შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკის და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა, რომელიც აუცილებელია მენეჯერებისათვის საწარმოს წარმატებული მართვის პროცესის განხორციელებისათვის.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოში შიდა კონტროლით ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, საწარმომ დამოუკიდებლად გადანეწყიტოს შიდა კონტროლის საჭიროება, რისთვისაც უნდა ითვალისწინებდეს

ამ სანარმოს რეალურ კონკრეტულ პირობებს, ორგანიზაციულ სტრუქტურას, პერსონალის კვალიფიკაციის დონეს და სხვა.

ცნობილია, რომ სანარმოს მმართველმა სრულად უნდა აგოს პასუხი სანარმოს საქმიანობის შედეგებზე, დროულად ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და წარდგენაზე, მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე ყოველივეს განხორციელება მოითხოვს, რომ მართვისათვის აუცილებელი სააღრიცხვო ინფორმაცია უნდა იყოს სრული, ობიექტური და საიმედო. როდესაც ასეთ პასუხისმგებლობას ვანიჭებთ მმართველს, მაშინ ისმის კითხვა, კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს შიდა კონტროლმა?

კონკრეტული პასუხი ასეთია, მართვის ყველა რგოლში შეცდომებისა და მათ შედეგად მიღებული ზიანის მინიმუმადე დაყვანა. სანარმოს მიზნებიდან გამომდინარე ადგენს საქმიანობის რომელ რგოლში, რომელ სამეურნეო ოპერაციაში მოიაზრება შეცდომების მაღალი რისკი, რომელი საქმიანობა მოითხოვს განსაკუთრებულ კონტროლსა და ზედამხედველობას, რამდენად არსებითია თავად შეცდომის ზემოქმედება სანარმოს საქმიანობაზე და მის ფინანსურ შედეგებზე.

სანარმოში ცალკეული სამეურნეო ოპერაციის უკან ხშირად დგას არსებითი უზუსტობა და შეცდომა, ასეთ შემთხვევებში შიდა კონტროლის ამოცანაა სანარმოს ადმინისტრაცია დაარწმუნოს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სამსახური არ იცავს აღრიცხვის სტანდარტების წესებს და ნორმებს. სამეურნეო ოპერაციის განხორციელება არ ხდება უფლებამოსილ პირთა სათანადო ნებართვების გაცემის საფუძველზე. მსგავსი შემთხვევები მოითხოვს შიდა აუდიტის სანარმოში სრულყოფილ ფუნქციონირებას, რომელიც მოითხოვს შემდეგ აუცილებელ პირობებს, ესენია:

1. სანარმოს ადმინისტრაცია სწორად უნდა აფასებდეს შიდა კონტროლის აუცილებლობას;

2. შიდა კონტროლის სისტემაში სწორად იყოს შერჩეული პროფესიული კვალიფიციური პერსონალი შესასრულებელი სამუშაოთა მიხედვით.

3. ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემისათვის მნიშვნელო-

ვანია მომუშავეებზე ვალდებულებების და პასუხისმგებლობის ადეკვატური განაწილება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კონტროლის მექანიზმის რეალური ფუნქციონირება და ხელი შეუწყოს აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლების და ხარჯების ამსახველ ყველა პირველად დოკუმენტის მოძრაობას და გაფორმებას მოქმედი ნორმატიული აქტებისა და საწარმოს შიდა ინსტრუქციების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ყოველივე აღნიშნულის დასადგენად შიდა კონტროლმა უნდა მოახდინოს მოულოდნელი ინვენტარიზაციები, სამეურნეო ოპერაციების და პირველადი დოკუმენტების შერჩევითი შემოწმება, იმისათვის რომ გააკონტროლოს სამეურნეო ოპერაციების კანონიერება და დოკუმენტების წარმოების წესების დაცულობა.

შიდა კონტროლის საქმიანობის მიზანია მიმდინარე პრობლემების გადაჭრა ან დაშვებული შეცდომის დროული გამოვლენა და გასწორება, რითაც შესაძლო უარყოფითი შედეგები მინიმუმადე დაიყვანება. ამ ამოცანების შესასრულებლად პერიოდული შემოწმებებისას უნდა დადგინდეს მოხდა თუ არა კონკრეტული სამეურნეო ოპერაცია ფაქტიურად, რაც ფიქსირებულია დოკუმენტებში, ვის მიერ და რამდენად სწორად იყო ნებადართული მომხდარი სამეურნეო ოპერაციის შესრულების კანონიერება, დაცულია თუ არა აღრიცხვის სისრულე და სისწორე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა კონტროლი აუცილებელია საწარმოსათვის იმისათვის, რომ საწარმოში არაფერი დაიკარგოს, მესაკუთრეებმა და მმართველებმა იცოდნენ როგორ მიდის საქმიანობა საწარმოში. მაგრამ აქვე უნდა ავლენიშნოთ, რომ შიდა კონტროლი ძვირადღირებული პროცედურაა და მმართველობითი ფუნქციის სრულყოფილად შესასრულებლად არის განკუთვნილი, მათზე განეული ხარჯები მთლიანად განეკუთვნება არამწარმოებლურ ხარჯებს. ამიტომ უნდა იქნეს გათვლილი და გათვალისწინებული, რომ „შიდა კონტროლი არის დინამიური და ინტეგრირებული პროცესი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიზნების მიღწევა. შიდა კონტროლი მოიცავს მენეჯერულ, ფინანსურ და კონტროლის სხვა მექანიზმებს, მათ შორის შიდა აუ-

დიტსაც. ფინანსური მართვა და კონტროლი, შიდა აუდიტთან ერთად ქმნიან შიდა კონტროლის სისტემას.“ [https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/aud.saf..pdf]

შიდა აუდიტი ცალკეული საწარმოს, ფირმის, კომპანიის მმართველობითი კონტროლის მთლიანი სისტემის განუყოფელი ნაწილია. შიდა აუდიტის მიზანი და ფუნქცია დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდიდა. კერძოდ თუ თავდაპირველად შიდა აუდიტის როლი ფინანსური მმართველობისა და აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანებიდან გამომდინარეობდა, შემდგომში შიდა აუდიტორების ყურადღება გამახვილებულ იქნა არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებდნენ კონტროლის და ინფორმაციის დამუშავების სისტემები, არამედ იმაზეც, თუ რამდენად ეფექტურია ისინი საწარმოს მიზნების მიღწევაში. ბოლო პერიოდში შიდა აუდიტის ფუნქციაში შევიდა მმართველობითი საინფორმაციო სისტემის მიერ გაცემული ინფორმაციის ხარისხის შეფასება, რომლის საფუძველზედაც ხდება გადაწყვეტილებათა მიღება. ისინი ასევე ახდენენ ინფორმაციის ანაღზისათვის გამოყენებული მეთოდის სარგებლიანობის შეფასებას.

შიდა აუდიტი - ეს საწარმოს შიდა კონტროლია, რომელიც საწარმოში ორგანიზებულია ცალკე სამსახურად, მოქმედებს საწარმოში შემუშავებული ადმინისტრირების დოკუმენტების შესაბამისად. ამდენად იგი მოქმედი კანონმდებლობისა და მესაკუთრეთა ინტერესების დაცვის მიზნით საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების შედგენის ორგანიზებისა და წესრიგის დაცვის სისტემაა.“¹

შიდა აუდიტის სამსახურს დღეს ყველაზე მეტად შეუძლია საწარმოს ხელმძღვანელის და მესაკუთრის დარწმუნება საგადასახადო კოდექსის ცვლილებებით დადგენილი გადასახადების აუცილებელ გადახდაში, რითაც გარკვეულწილად ახდენს მათ დაცვას გაუთვალისწინებელი ჯარიმებისა და საურავებისაგან, რაც ხშირად ძალიან დიდ ფინანსურ გარღვევებს იწვევს, რითაც შესაძლებელია საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გაუარე-

1 <https://cutt.ly/fwdrglGc>

სება და იგი შეიძლება გაკოტრების წინა პირობაც გახდეს. ასევე შიდა აუდიტის დღევანდელი გამოწვევა პროფესიონალური დახმარება აღმოუჩინოს აღრიცხვის მუშაკებს სამსახურებრივი მოვალეობების მაღალკვალიფიციურად შესრულებაში. მათი მოვალეობაა ბუღალტრული ინფორმაციის უტყუარობის შემოწმება.

დასკვნა

ამრიგად, საწარმოთა ეფექტური მმართველობითი სისტემის ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებით იზრდება შიდა კონტროლი როლი, რომლის ძირითადი ელემენტია შიდა აუდიტი, რომელიც მესაკუთრის ინტერესებიდან გამომდინარე ორგანიზებულია დამოუკიდებლად და ექვემდებარება მენეჯერს. შიდა აუდიტი გამოავლენს ნაკლოვანებებს და გასცემს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების რეკომენდაციებს, რითაც მიიღწევა ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხის გაუმჯობესება და საანდობაა წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებისა. და შეგვიძლია ხაზი გაუსვათ, საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის საერთაშორისო პრაქტიკის დანარგვა და ადაპტირება, რომლებიც გარკვეული პრობლემების გადაჭრით მიიღწევა ხელს შეუწყობს არა მარტო ამ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეფექტიან მართვას, არამედ მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ნორმალურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სულაშვილი გ., აბრალავა ა., ფაილოძე ნ., მურვანიძე ი., საქართველოში აღრიცხვა-კონტროლის მექანიზმების სრულყოფისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის სისტემის ჰარმონიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტები, ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, N1 იანვარი-ივნისი, 2022წ.

2. სახოკია გ., ზაქარიადე ი., მუჯირიშვილი ვ, ფინანსური კონტროლის საფუძვლები, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, თბ. 2006 წლის დეკემბერი

3. ხატიშვილი გ., შიდა კონტროლი, ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა, ოქტომბერი 2010

4. სრესელი ნ., აუდიტის საფუძვლები,

https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/aud.saf..pdf

REFERENCES:

1. Sulashvili G., Abzalava A., Failodze N., Murvanidze I., *Important aspects of perfecting the accounting and control mechanisms and harmonization of the management system of transnational corporations in Georgia*, J, Business and Legislation, N1 January-June, 2022 file:

2. Sakhokia G., Zakariadze I., Mudjirishvili V, *Fundamentals of financial control, methodological manual*, chap. December 2006

3. Khatishvili G., Internal Control, J, *Business and Legislation*, October 2010

4. Sreseli N., *Fundamentals of auditing*,

https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/aud.saf..pdf

THE ROLE OF ACCOUNTING AND INTERNAL CONTROL IN THE ENTERPRISE MANAGEMENT SYSTEM

Dezdemonia Maghlakelidze

Akaki Tsereteli State University,
Associate Professor
Dezdemonia.maghlakelidze@atsu.edu.ge

Natela Vashakidze

Akaki Tsereteli State University,
Associate Professor
Natela.vashakidze@atsu.edu.ge

Diana Uglava

Akaki Tsereteli State University,
Invited Specialist
Doctor of Business Administration
Diana.uglava@atsu.edu.ge

RESUME

For the development of international economic relations in Georgia, the role of accounting as the language of business is great, which requires compliance of accounting and reporting with the norms and rules recognized by the international practice of accounting. Because of this, a national accounting-reporting model was created in our country, for which the main normative documents of accounting regulation, the Law of Entrepreneurs and others were developed and put into effect. In enterprises, when the economic activity increases, it becomes necessary to create an internal control system for the protection of the current accounting and reporting legislation. In order for the internal control system to be fully involved in the management of enterprises, the main element of which is the internal audit, its goals must be realized, awareness raising, which

is the goal of the abovementioned paper. Internal audit - this is the internal control of the enterprise, which is organized as a separate service in the enterprise, and their main task is to help accounting workers to perform their duties as efficiently and effectively as possible. Because of this, it is the duty of the internal auditors to check the accuracy of accounting information and to make recommendations for their improvement, thus they contribute to raising the quality of accounting and reporting in the enterprise.

Keywords: accounting, financial reporting, internal control, internal audit.